ვენჩურული კაპიტალის განვითარების ხელის შემშლელი ფაქტორები განვითარებად ქვეყნებში - საქართველოს მაგალითი

მარია ვეშაპიძე

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ბიზნესის სკოლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ხიშტოვანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ წინამდებარე კვლევა წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს, არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარია ვეშაპიძე

18.06.2021

აბსტრაქტი

მაღალტექნოლოგიური სტარტაპები მნიშვნელოვან ერთეულებს წარმოადგენენ მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში, რამდენადაც, დიდი წვლილი შეაქვთ ტექნოლოგიურ წინსვლაში. დღესდღეისობით მრავალი მსხვილი და წარმატებული კომპანია, თავის დროზე, სწორედ სტარტაპის სახით იყო დაარსებული.

სტარტაპის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა. ახლადშექმნილი, ინოვაციური კომპანიებისთვის, რომლებიც სარისკო საქმიანობას ეწევიან, დაფინანსების ერთ-ერთი წყაროა ვენჩურული კაპიტალით დაფინანსება, რაც გულისხმობს სტარტაპ კომპანიის წილის გარკვეული ვადით შესყიდვას, მომავალში მისი მეტი ღირებულებით გაყიდვის მიზნით. აქციების გაყიდვის ვადის დადგომამდე კი, პროცესში ვენჩურული კაპიტალისტები არაერთხელ ახდენენ კომპანიისთვის კაპიტალის მიწოდებას და საკუთარი გამოცდილების გაზიარებას.

ვენჩურული კაპიტალის ინდუსტრია საქართველოშიც იწყებს განვითრებას. რამდენადაც საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, ბუნებრივია, არსებობს ფაქტორები, რომლებიც ხელს უშიან ვენჩურული კაპიტალის სექტორის განვითარებას. წინამდებარე ნაშრომში მოცემული კვლევის მიზანია გამოავლინოს ვენჩურული კაპიტალის განვითარების ხელის შემშლელი ფაქტორები საქართველოში და ჩამოაყალიბოს რეკომენდაციები, რათა ხელი შეუწყოს აღნიშნული ინდუსტრიის განვითარებას. მოცემული ამოცანის მისაღწევად, კვლევის ფარგლებში, განხილულია მსოფლიოს მასშტაბით არსებული წყაროები, რათა მოხდეს ვენჩურული კაპიტალის განვითარების საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა. ამასთან, უშუალოდ საქართველოში არსებული პრობლემური საკითხების გამოსავლენად, ჩატარდა თვისებრივი კვლევა ქვეყნის მასშტაბით მოქმედ ვენჩურული კაპიტალის ინდუსტრიის მონაწილეებს შორის.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის ვენჩურული კაპიტალის განვითარებას საქართველოში. უმთავრესი შემაფერხებელი ფაქტორებია: სტარტაპ ეკოსისტემის განვითარების დაბალი დონე, ვენჩურული კაპიტალით დაფინანსების ხელშემწყობი რეგულაციური სისტემის გაუმართაობა, ოფიციალური დამხმარე ინსტიტუციების არქონა, კვალიფიციური მუშახელის დეფიციტი, ვენჩურულ ინდუსტრიასთან დაკავშირებული ცოდნის დაბალი დონე საზოგადოებაში, სანდო ინფორმაციის სიმწირე ქვეყანაში. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი ვენჩურული

კაპიტალის განვითარების საკითხში და შემუშავდა რეკომენდაციათა ნაკრები, რომელიც არსებული პრობლემების გადაჭრის გზებს წარმოადგენს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ვენჩურული კაპიტალი, სარისკო კაპიტალი, განვითარების ხელის შემშლელი ფაქტორები, სტარტაპ ეკოსისტემა, სტარტაპის დაფინანსების წყარო.

Abstract

High tech start ups are an important units in the development of the world economy, as well as they play a huge role in technological advancement. Many large companies were founded in the form of startups.

Providing financial resources is a crucial factor for developing a startup company. Venture capital is one of the methods of financing of newly established, innovative companies. In case of the venture capital financing, an investor buys start up's share in order to sell it at a higher value in the future. Before selling company's share, venture capitalist repeteadly provide capital to startup and share their knowledge and experience.

Nowadays, venture capital industry is starting to develope in Georgia as well. As far as Georgia is a developing country, there are factors that interfere to the development of the venture capital sector. Therefore, the purpose of this study is to identify the factors hindering the development of venture capital in Georgia and to formulate recommendations to facilitate the development of this industry. To achieve this goal, the study examines existing sources around the world to learn about international experience in venture capital development. At the same time, in order to identify the problematic issues directly in Georgia, a qualitative survey was conducted among the participants of the venture capital industry operating throughout the country.

The study revealed the important factors that hinder the development of venture capital in Georgia. The main impediments are: low level of development of the startup ecosystem, failure of the regulatory system to facilitate venture capital financing, lack of official institutions to support venture capital players, shortage of qualified workforce, low level of knowledge related to the venture industry in the country, lack of reliable information. The study revealed the important role of the state in the development of venture capital and developed a set of recommendations that provide solutions to existing problems.

Key Words: venture capital, factors hindering development, startup ecosystem, source of startup funding.